გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01

ქ. ჩხოროწყუ 3 იანვარი 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ თაიას საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი"მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის,სკოლის დირექტორის მ/შ ლონგინოზ თოდუას სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ვახტანგ თოდუა", მისი წარმომადგენლის ვახტანგ თოდუას, შემდგომში „მიმწოდებელი" სახით

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 „მიმწოდებელი"იღებს ვალდებულებას სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ თაიას საჯარო სკოლას გაუწიოს კომპიუტერული მომსახურება (CPV-კოდი-72590000) ერთ პირთან მოლაპარაკების საშ-უალებით.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

5. მომსახურეობის ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დადების დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის მიღების შემდეგ.

7.ანგარიშსწორების ფორმა

7.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

7.2 ანგარიშწიორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში

7.3 ანგარიშწორების ფორმა იქნება უნაღდო.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუ-ხისმგებლობისაგან.

10.ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს ორივე მხარეს საჯარიმო სანქციების გამოყენებისაგან.
10.2 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისთანავე „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" უგზავნის შეტყობინებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა „მიმწოდებელის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქცია მომსახურეობის თანხის 1.5 %-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში გასაწევი მომსახურების ფასი წარმოად-გენს ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრს.

12.დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში დამკვეთი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიეს მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

13. განსაკუთრებული პირობები

13.1 ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) ეგზემპლიარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი" :	„მიმწოდებელი":
სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	ი/მ „ვახტანგ თოდუა"
სოფელ თაიას საჯარო სკოლა	ს/კ: 48001020434,
მის: სოფელი თაია	ანგ. ნომერი: GE11LB0112130953190000
სს„ლიბერთი ბანკი" ჩხოროწყუს ფილიალი	ბ.კოდი: LBRTGE22
ანგ№GE94LB0121133221315000	სს „ლიბერთი ბანკი"-ის ჩხოროწყუს ფილ-ი
ბ/კოდი:LBRTGE22	
ს/კ: 242263377	ტ: 598-24-49-18
ტელ: 577-12-25-27	
ხელმოწერა: /ლ. თოდუა /	ხელმოწერა: /ვ. თოდუა/